



StopCoV.ge

კორონავირუსის საერთოვალოში
გავრცელების პრევენცია

ვირუსთან ადაპტაცია და მისი მართვა

განვლილი ეტაპები

I ეტაპი

ვირუსის
შეკავება

II ეტაპი

ვირუსის
მართვა



I ეტაპი - ვირუსის შეკავება

მოქმედებდა ვირუსის შეკავების სტრატეგია, ვინაიდან:

- > მსოფლიოში არ არსებობდა ვირუსის მართვის ცოდნა
- > მოუმზადებელი იყო ჯანდაცვის სისტემა და ჰქონდა შეზღუდული რესურსები
- > გლობალურად შეზღუდული იყო წვდომა საჭირო სამედიცინო რესურსებსა და საშუალებებზე



ვირუსის შეკავების სტრატეგიის შედეგი:

- > შემთხვევების მცირე რაოდენობა
- > სიკვდილიანობის დაბალი მაჩვენებელი
- > მოგებული დრო ჯანდაცვის სისტემის და საზოგადოების მომზადებისთვის
- > „მწვანე ქვეყნის“ სტატუსი და საერთაშორისო აღიარება
- > ეკონომიკის სწრაფად გახსნა



II ეტაპი - ვირუსის მართვა



კოორდინაციის და მართვის სისტემა
ამოქმედდა როგორც ცენტრალიზებულ,
ისე რეგიონულ დონეზე



ეტაპობრივად მოიხსნა შეზღუდვები



მომზადდა ჯანდაცვის სისტემა



დაიწყო ვირუსთან ადაპტაციისთვის
მზადება



III ეტაპი - ვირუსთან ადაპტაცია



1

სწრაფი გამოვლენა
და გავრცელების
შენელება

2

კლინიკური
მართვის ახალი
მოდელები

3

სწრაფი დაბრუნება
ცხოვრების ჩვეულ
რიტმში



III ეტაპი - ადაპტაცია



ვირუსთან თანაცხოვრება:

	სახელმწიფოს როლი
	დამსაქმებლების როლი
	მოქალაქის როლი





COVID-19-ის ძირითადი სიმპტომები:

- | სიცხე და/ან შეშუპება
- | ხველა
- | ყნოსვის და/ან გემოს შეცვლა/დაკარგვა
- | სუნთქვის უკმარისობა/გაძნელება/გახშირება
- | ზოგადი საერთო სისუსტე
- | კუნთების ტკივილი
- | თავის ტკივილი
- | ყელის სიმშრალე/ტკივილი
- | გულისრევა ან პირღებინება
- | დიარეა



მოქალაქე



აუცილებელია შემდეგი წესების დაცვა:

1. პირბადის ტარება საზოგადოებრივ ტრანსპორტში, დახურულ და ღია სივრცეში - ყველგან, სადაც შეუძლებელია დისტანციის დაცვა;
2. პირბადის სწორი მოხმარება (პირბადე უნდა ფარავდეს ცხვირს, პირს და ნიკაპს/ერთჯერადი პირბადე არ უნდა იყოს გამოყენებული მრავალჯერადად);
3. ხელების ხშირი დაბანა ან/და დეზინფექცია, განსაკუთრებით სამუშაო სივრცეში/კვების ობიექტებში/საზოგადოებრივ თავშეყრის ადგილებში;
4. სოციალური დისტანციის დაცვა და ფიზიკური კონტაქტისგან (გადაკოცნა/ხელის ჩამორთმევა) თავის არიდება;
5. ხალხმრავალი სოციალური ღონისძიებების (ქორწილები, ქელები, დაბადების დღეები და ა.შ.) გამართვისა და მასში მონაწილეობისგან თავის შეკავება;
6. სახლში დარჩენა და დისტანციური მუშაობა/სწავლა ცხელების, რესპირატორული ან/და კოვიდისთვის დამახასიათებელი სიმპტომების შემთხვევაში;
7. ხანდაზმულების და სხვა რისკ-ჯგუფის მოქალაქეების ვირუსისგან დაცვა, საჭიროების შემთხვევაში, სახლში დარჩენა.

რეკომენდებულია სარგებლობა აპლიკაციით Stop Covid



მოქალაქე



COVID-19-ის სიმპტომების გამოვლენის შემთხვევაში:

➤ მოქალაქე გადადის თვითიზოლაციაში და მიმართავს 112-ს.

➤ სიმპტომების მქონე პირს:

- 112 სატელეფონო კონსულტაციისთვის ამისამართებს ოჯახის ექიმთან;
- ექიმი განსაზღვრული პერიოდულობით ახდენს ჯანმრთელობის მონიტორინგს;
- PCR კვლევა უტარდება ცხელების ცენტრში, ექიმის მიერ კორონავირუსზე ეჭვის მიტანის შემთხვევაში.

➤ უარყოფითი პასუხის მიღებამდე მოქალაქე ვალდებულია დარჩეს თვითიზოლაციაში.



მოქალაქე



COVID-19-ის ტესტის დადებითი პასუხის შემთხვევაში:

- ინფიცირებულ პირს უკავშირდება 112, ოჯახის ექიმი და ეპიდემიოლოგი;
- დაავადების მიმდინარეობის, ჯანმრთელობის მდგომარეობის და თვითიზოლაციის პირობების შეფასების შემდგომ, ექიმის გადაწყვეტილებით ხდება პაციენტის მკურნალობა სახლში, კოვიდსასტუმროში ან საავადმყოფოში.

მოქალაქე ვალდებულია:

- დარჩეს თვითიზოლაციაში და მოერიდოს გარშემომყოფებს;
- კონტაქტების დადგენის და ვირუსის გავრცელების შენელების მიზნით, გაუზიაროს ეპიდემიოლოგებს ინფორმაცია მისი კონტაქტების და ადგილსამყოფელის თაობაზე;
- შეატყობინოს მისი ინფიცირების თაობაზე ყველა პირს, ვისთანაც მას ჰქონდა კონტაქტი სიმპტომების გამოჩენამდე ბოლო 48 საათის განმავლობაში;
- შეასრულოს ექიმების მითითებები და რეკომენდაციები.



მოქალაქე



COVID-19-ით ინფიცირებულთან კონტაქტის შემთხვევაში:

- მოქალაქე გადადის თვითიზოლაციაში და მიმართავს 112-ს.

მოქალაქე ვალდებულია:

- 12 დღის განმავლობაში დარჩეს თვითიზოლაციაში იმ შემთხვევაშიც კი, თუ სიმპტომების გამოვლენა არ ხდება;
- სიმპტომების გამოვლენის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ მიმართოს 112-ს და ექიმის მითითების შემთხვევაში, ჩაიტაროს PCR ტესტირება შესაბამის ცხელების ცენტრში;
- უარყოფითი პასუხის მიუხედავად, დარჩეს თვითიზოლაციაში ინფიცირებულთან კონტაქტიდან 12 დღის განმავლობაში;
- დადებითი პასუხის შემთხვევაში, შეასრულოს 112-ის, ექიმების და ეპიდემიოლოგების რეკომენდაციები.



ორგანიზაცია



დამსაქმებელმა უნდა უზრუნველყოს:

- > თანამშრომელთა თერმოსკრინინგი და მათი ჯანმრთელობის მდგომარეობის მონიტორინგი;
- > სადეზინფექციო ხსნარების და საშუალებების ხელმისაწვდომობა, სამუშაო სივრცეების დეზინფექცია;
- > ბარიერების განთავსება დასაქმებულთა და მომხმარებელთა/სხვა პირთა შორის;
- > სამუშაო ადგილზე დასაქმებულთა ტრანსპორტირების შემთხვევაში, ყოველი შესრულებული მარშრუტის შემდგომ, ტრანსპორტის შიდა სივრცის სანიტარული დამუშავება;
- > 14 დღის განმავლობაში იმ თანამშრომელთა მუშაობის დისტანციური რეჟიმი, რომლებსაც აქვთ მოგზაურობის ისტორია ვირუსის გავრცელების ქვეყნებში/ეპიდკერებში ბოლო ორი კვირის განმავლობაში და არ გაუვლიათ კარანტინი ან PCR ტესტი;
- > PCR ტესტის პასუხამდე, რესპირაციული ინფექციისთვის დამახასიათებელი სიმპტომების მქონე თანამშრომელთა თვითიზოლაცია და დისტანციური მუშაობა;
- > დადგენილი წესების და რეგულაციების ზედმიწევნით შესრულება.

რეკომენდებულია დისტანციური მუშაობის რეჟიმი.



ორგანიზაცია



> თუ ორგანიზაციის თანამშრომელს გამოუვლინდა კოვიდის დამახასიათებელი სიმპტომები, აუცილებელია, დაავადებულმა/დამსაქმებელმა მიმართოს 112-ს.

> სამუშაო ადგილზე ინფიცირების გამოვლენის შემთხვევაში, დამსაქმებლებმა უნდა უზრუნველყოს:

- > დაავადებული თანამშრომლის დაუყოვნებლივი თვითიზოლაცია და ფაქტის შესახებ 112-სთვის ინფორმაციის მიწოდება;
- > დაავადებულთან კონტაქტში მყოფი თანამშრომლების თვითიზოლაცია;
- > საოფისე და კომერციული ფართების დეზინფექცია;
- > თანამშრომელთა ტესტირება, იზოლაცია, ორგანიზებული ტრანსპორტირება - ეპიდემიოლოგების რეკომენდაციების შესაბამისად.



სახელმწიფო



1

მომზადებული
ჯანდაცვის
სისტემა

2

სწრაფი
გამოვლენა და
გავრცელების
შენელება

3

ცნობიერების
ამაღლება/საზოგა
დოების
ინფორმირება

4

დადგენილი
რეგულაციების
აღსრულება



სახელმწიფო



● მომზადებული სისტემა

> დიაგნოსტიკის გამართული სისტემა

- 15 ცხელების ცენტრი ქვეყნის მასშტაბით
- სატელეფონო ტრიაჟი 112-ის და 25 ოჯახის კლინიკის მეშვეობით
- მიზნობრივი და ინფიცირების და/ან ვირუსის გავრცელების მაღალი რისკის მქონე ჯგუფების სისტემური ტესტირება

> ტესტირების ხელმისაწვდომობა

- 29 PCR ლაბორატორია 4 ლაბორატორიის ნაცვლად
- საშუალოდ 10 000 PCR ტესტი დღეში 100-ის ნაცვლად
- უფასო ტესტირება

> კონტაქტების სწრაფი დადგენა და იზოლაცია

- უწყებათაშორისი კოორდინაცია და რეგიონული შტაბები
- კონტაქტების დადგენის აპლიკაცია Stop Covid
- 6 282 ნომერი 113 სასტუმროში კარანტინისთვის



კლინიკური მართვა



● მომზადებული სისტემა

- > გადამზადებული მედპერსონალი, მათ შორის ჯანდაცვის პირველადი რგოლი
- > ვირუსის მკურნალობის გამოცდილება
- > მკურნალობის კოორდინირებული სისტემა მულტიპროფილური კლინიკური ჯგუფის ჩართულობით
- > სამედიცინო პერსონალის დამცავი აღჭურვილობის მარაგი
- > 35 კოვიდკლინიკა და 5 000 საწოლი ჰოსპიტალიზაციისთვის
- > 13 კოვიდსასტუმრო 1 857 ნომერი იზოლაციისთვის



კლინიკური მართვა - ახალი მოდელი



> მკურნალობა კოვიდკლინიკებში:

- რისკჯგუფის პაციენტები
- პაციენტები დაავადების გართულებული მიმდინარეობით

> მკურნალობა ე.წ. კოვიდსასტუმროებში


- პაციენტები დაავადების მსუბუქი მიმდინარეობით
- უსიმპტომო პაციენტები, რომლებსაც არ აქვთ თვითიზოლაციის ან ბინაზე მკურნალობის პირობები

> მკურნალობა ბინაზე, ოჯახის ექიმის მეთვალყურეობით

- პაციენტები, რომლებიც არ შედიან რისკჯგუფში, აქვთ დაავადების უსიმპტომო ან მსუბუქი ფორმა და აქვთ თვითიზოლაციის/ ბინაზე მკურნალობის პირობები



კლინიკური მართვა - ახალი მოდელი



სწრაფი დაბრუნება ცხოვრების ჩვეულ რიტმში


● ახალი მოდელი კოვიდინფიცირებულთან დაკავშირებით

კოვიდინფიცირებულის კონტაქტები ექვემდებარებიან იზოლაციას დაავადებულთან ბოლო კონტაქტიდან სრული 12 დღის განმავლობაში.

- > დაავადებულთან კონტაქტის იზოლაცია ან თვითიზოლაცია სრულდება დაავადებულთან ბოლო კონტაქტიდან მე-12 კალენდარულ დღეს, PCR ტესტირების გარეშე, იმ შემთხვევაში თუ იზოლაციის განმავლობაში მოქალაქეს არ გამოუვლინდა სიმპტომები
- > 12 დღის განმავლობაში რაიმე სიმპტომის გამოვლენის შემთხვევაში, 112-ს და ოჯახის ექიმის გადაწყვეტილებით მოქალაქეს უტარდება ტესტირება. იზოლაციის ვადა და შემდგომი ქმედებები განისაზღვრება ტესტირების პასუხის შესაბამისად
- > უცხოეთიდან ჩამოსული მოქალაქეების საკარანტინო სივრცეებში იზოლაციის ვადა სრულდება მე-8 კალენდარული დღეს სწრაფი ან PCR ტესტის უარყოფითი პასუხის შემთხვევაში

სწრაფი დაბრუნება ცხოვრების ჩვეულ რიტმში

● ახალი მოდელი კოვიდინფიცირებულთან დაკავშირებით



- > უსიმპტომო კოვიდინფიცირებული გამოჯანმრთელებულად ითვლება მას შემდეგ, რაც PCR ტესტით კოვიდის დადასტურების შემდეგ, გაივლის 10 კალენდარული დღე და პაციენტს ამ პერიოდში არ გამოუვლინდება სიმპტომები. პაციენტი ასრულებს იზოლაციას და ენიჭება გამოჯანმრთელებულის სტატუსი PCR დიაგნოსტიკის გარეშე.
- > სიმპტომების ან მსუბუქი სიმპტომის მქონე პაციენტი გამოჯანმრთელებულად ითვლება მას შემდეგ რაც PCR ტესტით კოვიდის დადასტურების შემდეგ, გაივლის 10 კალენდარული დღე, სიმპტომების აღაგებიდან დამატებით 3 დღე ($10+3=13$). ასრულებს იზოლაციას და ენიჭება გამოჯანმრთელებულის სტატუსი PCR დიაგნოსტიკის გარეშე.
- > გადაწყვეტილებას პაციენტის გამოჯანმრთელების შესახებ იღებს მკურნალი ექიმი.





ლოკალური/წერტილოვანი შეზღუდვა

> ცალკეულ რეგიონებში მაღალი ეპიდემიოლოგიური რისკებიდან გამომდინარე, პრევენციული და რეაგირების ღონისძიებების განხორციელების მიზნით, შესაძლოა დაწესდეს ლოკალური კონტროლი და/ან შეზღუდვები.

აღნიშნული შესაძლოა გულისხმობდეს:

- > რეგიონში შემსვლელი და გამომსვლელი პირების სავალდებულო თერმოსკრინინგს, გაფართოებულ ტესტირებას, შესაძლო ინფიცირებულების დაუყოვნებლივ იზოლაციას, ცალკეული ორგანიზაციების საქმიანობის შეჩერებას ორგანიზაციაში წერტილოვანი ეპიდაფეთქების აღმოფხვრამდე, საჭიროების გათვალისწინებით რეგიონში მცხოვრები პირების მობილობის შემცირებას და სხვ.



ცნობიერების ამაღლება/საზოგადოების ინფორმირება

- პროაქტიურად ხორციელდება საზოგადოების ინფორმირება ვირუსის გავრცელების პრევენციული ღონისძიებებისა და არსებული დინამიკის შესახებ.
- შექმნილია სპეციალური აპლიკაცია Stop Covid, რომელიც მოქალაქეს შესაძლებლობას აძლევს მის გარშემო დაფიქსირებული დადასტურებული შემთხვევის შესახებ დროულად მიიღოს შეტყობინება და განახორციელოს შემდგომი აუცილებელი ქმედებები.



ვირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით, ფიზიკური და იურიდიული პირებისთვის განისაზღვრა როგორც სავალდებულოდ შესასრულებელი, ასევე, სარეკომენდაციო ხასიათის რეგულაციები. დადგენილი რეგულაციების აღსრულების მონიტორინგის პროცესში ჩართულია სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურა.



StopCoV.ge

კორონავირუსის საქართველოში
გავრცელების პრევენცია